პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ივლისი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 161 (15374)

ხუთწლედი — ვადამდე!

საიუბილეო ვალდებულება

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში დღითიდღე ძლიერდება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ბევრი ნოვატორი მუშა ცვლის დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მათ შორის მოწინავეთა მწყობრში დგას ჩამომსხმელი შალვა ბუგულაშვილი. იგი ორი აოეული წელია თავდადებით შრომობს და ცვლაში 4 ტონა ზეგეგმით ლითონს ასხამს. ნახევარი წლის შედეგებს რომ გადახედა, გადაწყვიტა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალება 22 დეკემბრისათვის შეასრულოს. გამოცდილი ჩამომსხმელი თავის ცოდნასა და გამოცდილებას სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდებს. ახლა მის გვერდით 30 ყოფილი მისი მოწაფე შრომობს.

სურათზე: ზემოთ — მოწინავე ჩამომსხმელი შ. ბუგულაშვილი.
ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ივლისი ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა!

საქართველოს მეჩაიეთა ლაშქრობა 260 ათასი ტონა ჩაისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ივლისი მეჩაიეთა დიდი გამოცდის პერიოდია და ეს გამოცდა სახელოვანმა მეჩაიეებმა, როგორც წინა წლებში, ახლაც წარმატებით უნდა ჩააბარონ. ამიტომ არის, რომ პლანტაციებში მთელი ძალებია მობილიზებული. ადრე დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება ჩაის ფოთლის დამამზადებლებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების თავდადებული შრომა, უფრო ფართოდ გაჩაღდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ადგილებიდან მოდის სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ ბევრგან გონივრული, ორგანიზატორული მუშაობის შედეგად წარმატებებია მოპოვებული. ეს პირველ რიგში ითქმის აპარის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ცაგერის, ტყიბულის, ხობის, ჩოხატაურის რაიონების მეჩაიეთა მიმართ, რომლებმაც ჩაის კრეფის მაიხივნისის გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს და ახლაც შრომის მაღალი ტემპი აქვთ აღებული. მეჩაიეობის ძირითად რაიონებში კარგად ითვალისწინებენ გვალვის შემთხვევაში პლანტაციების მორწყვის ფართო ღონისძიებებს და მზად აქვთ „ხელოვნური წვიმის“ სისტემა.

მახარაძის, ქობულეთის, ზუგდიდის, წალენჯიხის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ასობით მექანური ხელოვნური დაწვიმებით მოირწყვება. ხობის რაიონის ახალი ხიბულის ჩაის პლანტაციების სარწყავი სისტემის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ეს სისტემა ასობით ჰექტარ ჩაის პლანტაციას მორწყავს ახალი ხიბულის, საკიბალოს კოლმეურნეობებსა და ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ქების ღირსნი არიან ის რაიონები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის მაიხივნისის დავალება. მათ დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკური გეგმის შესრულებაში. პირველი ივლისისათვის სულ მოკრეფილ იქნა 141.988 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც ორი თვის გეგმავალდებულების 109 პროცენტს შეადგენს. საყურადღებოა ის, რომ მთელი მოკრეფილი ნედლეულიდან 103.550 ტონა პირველი ხარისხისაა. ცხადია, ეს საერთოდ ცუდი მაჩვენებელი როდია. მაგრამ თუ ამ ციფრებს გავაანალიზებთ, ჩვენს მეჩაიეებს პირდაპირ უნდა ვუფიხრათ: ეს იყო ივნისში. ახლა, ივლისში, ჩაის ნედლეულის ხარისხის ასეთი მაჩვენებლები არამც და არამც არ შეიძლება გვძონდეს.

აქედან თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ სეროიზული დასკვნები უნდა გააკეთონ. არ უნდა დავუშვიწყდეს, რომ ივლისში მძლავრად იწყებენ ჩაის ბუჩქები მორიგ ვეგეტაციას და მკვეთრადაც უნდა გაუმჯობესდეს ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. საქმეებება იმას, რომ უთუოდ შესრულდეს ჩაის კრეფის გეგმა-დავალება. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ხარისხის გაუარესების ხარჯზე. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ივლისის პირველ დეკადაში მეჩაიეებმა გააძლიერეს ჩაის კრეფის ტემპი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ დეკადაში რესპუბლიკაში მოიკრიფა 16.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, დაახლოებით სულ მოკრეფილია 157.000 ტონაზე მეტი.

რაოდენობაც, ხარისხიც! მეჩაიეთა ეს საყოველთაოდ ცნობილი დევიზი განუბრელად უნდა შესრულდეს. ამ საქმეში კი აუცილებელია ჩაის ნედლეულის დამამზადებლებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკების მეტი მონდომება, მომთხოვნელობის გაძლიერება, ყოველდღიური კონტროლი და დახმარება.

მოპოვებული წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, რომ ზოგიერთ რაიონს დროულად დაეძლია არახელსაყრელი ამინდით გამოწვეული სიძნელეები. შარშან აფხაზეთის ასსრ მეჩაიეებმა საშრომლიანად დაიმსახურეს ქება. წელს კი, თუ მაის-ივნისის შედეგებით ვამსჯელებთ, ჯერჯერობით საქები არაფერი აქვთ. აფხაზეთის მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმადავალება მხოლოდ 94 პროცენტით შეასრულეს. ჩაის ნედლეულის ეს დანაკლისი ძირითადად გალისა და ოჩამჩირის რაიონებზე მოდის. ამ ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ივლისში მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ და მივიღოთ საჭირო ზომები.

ამასთან ერთად აფხაზეთის მეჩაიეებს სერიოზული დავალება აქვთ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დარგში. მათ მანქანებით წელს უნდა მოკრიფონ 7.570 ტონა ჩაის ფოთოლი. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ვალია ქმედელ ღონისძიებებით უზრუნველყონ ჩაის კრეფის გეგმა-ვალდებულების შესრულება. ეს საკითხი კი ძირითადად ივლისში უნდა გადაწყდეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ მანქანებით ჩაის კრეფის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია. წელს მექანიზებულად უნდა მოკრიფოს 28.650 ტონა ჩაის ფოთოლი. მანქანებით ყველაზე მეტი უნდა მოკრიფოს ზუგდიდის რაიონმა — 8.180 ტონა. ზუგდიდელ მექანიზატორებს ამ საქმეში ცუდი მაჩვენებლები ჰოდი აქვთ. განსაკუთრებით გამოირჩევიან ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები. საჭიროა მათი გამოცდილება უფრო ფართოდ დანერგოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მექანიზებული კრეფა უნდა გაძლიერდეს მახარაძის, ქობულეთის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს რაიონებში.

ჩაის ფოთლის კრეფის ამ ცხარე დღეებში ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ პლანტაციებში მომუშავეებს. ისინი უნდა უზრუნველყოთ უშუალოდ პლანტაციებში ცხელი კერძებით. გავაძლიეროთ დახმარება საბავშვო ბაღებისა და ბაღების მუშაობისადმი, მეჩაიეთათვის შექმნათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, რათა მათ შიძლონ ყოველგვარ ამინდში მუშაობა. საჭიროა ჩაის ფოთლი ეკრიფოთ განუწყვეტლივ. ყოველგვარ ამინდში და დაგვიცავთ კრეფის აბრეშუსები. გავაჩალოთ კომუნისტური შრომა დევიზით: **რაოდენობაც, ხარისხიც!**

მეჩაიეთა ამ საყოველთაო ლაშქრობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები და კომკავშირელები. მათ უნდა დარაზმონ ახალგაზრდობა, რომელიც რესპუბლიკური გეგმის მესამედზე მეტს კრეფს.

მეჩაიეებო, გახსოვდეთ, რომ ივლისი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა. ახლა სიტყვა თქვენზეა!

ეს დღეები სოფლად

ჰექტარები და ცენტნერები

სიმინდი

ყვარელი. (საკ. კორ.). ენერგიულად შრომობენ რაიონის მესიმინდეები. მათ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში 2.521 ჰექტარზე დათესეს სამარცვლე სიმინდი, რაც გეგმით გათვალისწინებულს 500 ჰექტარით, ხოლო ვალდებულებით ნაკისრს 321 ჰექტარით აღემატება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. მათი პირობაა გეგმით გათვალისწინებული 27 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 42 ცენტნერი სიმინდი, ხოლო სარწყავ ნაკვეთებში — 50 ცენტნერი.

ახლა, როცა სიმინდის ნათესები ზღვასავით დელავს, ნათლად ჩანს, რომ ნაკისრ ვალდებულებას ყვარელელი მესიმინდეები გადაჭარბებით შეასრულებენ. მიღდის, ჭიკანის, ახალსოფლისა და სხვა კოლმეურნეობების, „ქინძმარაულისა“ და გრემის საბჭოთა მეურნეობების სიმინდის ყანებს ატყვია ვამრჯე კაცის ხელი. საუკეთესოდ დამუშავებულ ნაკვეთებში საჭიროების მიხედვით ფუნმოდგინედ აწარმოებენ რწყვას, ამიტომ ბევრი ბრიგადა ჰექტარზე 50 ცენტნერის კი არა, 60-70 ცენტნერი მარცვლის მიღებისათვის იბრძვის.

რაიონში წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ნაწვერალის ხვნა, თესვა. წელს ყვარელელი მესიმინდეები ნაწვერალზე 2.440 ჰექტარზე დათესავენ სიმინდს, აქედან 500 ჰექტარს სამარცვლედ დამუშავებენ.

ა. თვალიაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: ყვარლის რაიონის ახალსოფლის მარკანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ჩ. მოსიაშვილი (მარცხნივ) და აგრონომ-ექნიკოსი ა. გუგუშვილი ამოწმებენ სიმინდის ზრდა-განვითარებას.

ვ. ნარსეზაშვილის ფოტო.

ჩაი

ენერგიულად შრომობენ ამ დღეებში სოფელ ლესის (ლანჩხუთის რაიონი) მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. მათ წელს ნაკისრი ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 640 ტონა ჩაის ფოთოლი. მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში ბევრი მეჩაიე დაწინაურდა. მათ შორის მოწინავეა მერი ტუღუში, რომელიც გეგმით გათვალისწინებული 3 ტონის ნაცვლად 6 ტონა ჩაისათვის იბრძვის. ყოველდღიურად კრეფის დავალებას ორმაგად ასრულებს.

სურათზე: სოფელ ლესის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე მერი ტუღუში.

ი. ნანიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვრცელი ნოგბათი

სილნაღი

სილნაღის რაიონმა ვადაზე ადრე გადამეტებით შეასრულა ბორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, თივის დამზადების ნახევარი წლის გეგმები და აბრეშუმის პარკის წლიური გეგმა.

ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 4.850 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 9.827 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 21.160 ცენტნერისა — 24.230 ცენტნერი რძე, ნაცვლად 1.800 ათასისა — 2.425 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად 1.164 ცენტნერისა — 1.263 ცენტნერი მატყლი.

აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 430 ცენტნერისა დამზადებულია 477 ცენტნერი. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

სახელმწიფოს ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.100 ცენტნერისა მიეყიდა 3.124 ცენტნერი თივა. პროდუქტებისა და თივის დამზადება გრძელდება.

მცხეთა

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონულმა განყოფილებამ (მმართველი რ. ცინცაძე), რომელმაც მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა უველა დარგში 28 ივნისისათვის შეასრულა.

სარემონტო სახელოსნომ დავალება 109 პროცენტით გაანალდა, მექანიზებულ სამუშაოთა გეგმა ფულად გამოხატულებაში შესრულებული 108 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად საქმეთა მექანიზაციისა —107 პროცენტით, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექმომსახურებისა — 121 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანების შეკეთების გეგმები.

საზეიმო კრება მოსკოვში

მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ახალი წარმატებები უსურვეს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს 10 ივლისს გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 51 წლისთავსა და საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის დეკადის გახსნას.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. კაპიტონოვი, სხვა ოფიციალური პირნი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აქვე იყო მონგოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციათა ფედერაციისა და მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნ. ლუვსანჭულტემი.

მოსკოველთა სახელით მონგოლ მეგობრებს გულთბილად მიესალმა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ნ. იაგოდკინი.

ორი ქვეყნის ხალხთა ძმური ურთიერთობის შესახებ ილაპარაკეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. პანკოვმა და ქარხანა „ერსანი ოქტიაბრის“ ხარატმა ნ. ა. როდინმა. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ მონგოლეთი ხალხი, რომელიც ასრულებს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს სოციალიზმის მშენებლობაში.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი მონგოლი ხალხის სახელით ელჩი ნ. ლუვსანჭულტემი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა კავშირის მშრომელებს.

ელჩმა დაწვრილებით ილაპარაკა მიღწევებზე თავისი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის დარგში. აღნიშნა, რომ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები დიდად აფასებენ იმ უდიდეს დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს მათ სახელმწიფოს განვითარებაში, და მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმეწყობით სხვადასხვა ობიექტის მშენებლობას.

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, განსაკრძო ოკატორმა, ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ჩვენი ხალხი, ჩვენი პარტია ყველაგვარ ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ მეგობრობას, ყოველმხრივ თანამშრომლობას საბჭოთა ხალხთან და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, სხვა მოძმე ხალხებთან და პარტიებთან ჩვენი საერთო მიზნების — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამარჯვებისათვის.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, მონგოლი ხალხი, განაცხადა დასასრულ ელჩმა, მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ წვლილს მსოფლიო სოციალისტური სისტემის გაძლიერების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიურ საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის განხორციელებას. ამ პოლიტიკის შედეგად მოხდა დიდმნიშვნელოვანი ძვრები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში. (საკლესი).

ლენინგრადელ მსახიობთა სპექტაკლის წარმატება

თბილისში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ლენინგრადის ვ. კომისარჟევსკაიას სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები. თბილისელი მაყურებლები დიდ ინტერესს იჩენენ ლენინგრადელი მსახიობების სპექტაკლებისადმი, რომლებიც გამოირჩევიან თავისი სიმართლითა და დიდი ოსტატობით.

10 ივლისს თბილისში რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე განმეორებით უჩვენეს ა. ტოლსტოის ტრაგედიის „მეფე თეოდორე იოანეს ძის“ პრემიერა, რომელიც დადგა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრის მთავარმა რეჟისორმა რ. ავამირზიანმა.

თბილისელები პირველი მაყურებლები იყვნენ ამ სპექტაკლისა, იგი ლენინგრადში ჯერ არ უჩვენებიათ.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ მსახიობებს — ვ. ოსობიკს (მეფე თეოდორე იოანეს ძე), რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ი. დმიტრიევს (ივანე შუისკი), ს. ლანდგრაფს (ბორის გოდუნოვი), ე. აკულინიკოვს (ლეფოფალი ირინე), ბელორუსიის სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. ჩემბერვს (ვასილისა), რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ს. პონომარევს (მეფის ბიძა).

ყურადღებას იმსახურებს მხატვრული გაფორმება, რომელიც მხატვარ ე. კოტერგინს ეკუთვნის.

სპექტაკლს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, ა. ჩურკინი, მ. გოგიჩაიშვილი. (საქინფორმი).

საიუბილეო წლის ახალმოსახლეობა

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ თვეში საქართველოში საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებია თბილისში — 104 პროცენტი.

წლის დამდეგიდან საექსპლოატაციოდ გადაეცემულია თითქმის 342 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი, აქედან 220 ათასზე მეტი — თბილისში. ეს ნიშნავს, რომ თბილისში, რუსთავში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ბორჯომში, გაგრაში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ცხრა ათასზე მეტმა ოჯახმა იდღესასწაულა ახალი ბინის მიღება. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ათიათასობით კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მოპოვებულია სახელოვანი გამარჯვება, ჩინებული საჩუქარი მიართვეს მოსახლეობას. ამასთანავე უნდა მხედველობაში მივიღოთ, რომ ბევრად გაუმჯობესდა სახლების ხარისხიც. შესრულებულ სამშენაოთა ძირითადი მოცულობა მოდის იმ კოლექტივების წილად, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. ნახევარი წლის მანძილზე მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს 330 ათასი კვადრატული მეტრი, აქედან 215 ათასი — თბილისში.

როგორ მიაღწიეს ესოდენ დიდ წარმატებას? მაგალითად, შარშან ხომ მშენებლები ვალში აღმოჩნდნენ, თავი ვერ გაართვეს ნახევარი წლის გეგმას. წელს კი ისინი უაღრესად რიტმულად მუშაობდნენ: უკვე შესრულებულია წლიური პროგრამის მოზრდილი ნაწილი. ეს განსაკუთრებით შეეხება თბილისელ მშენებლებს.

შარშან აპრილში რესპუბლიკის დედაქალაქში მშენებლობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „თბილისთბილისმშენი“. მასში შემავალი ტრესტები დასპეციალიზდნენ: მე-10 მაღლივ მშენებლობაზე, მე-14 — დიდბლოკიან მშენებლობაზე, მე-15—დიდპანელიან საბინაო მშენებლობაზე. ამან ბევრად შეუწყო ხელი მიღწეულ წარმატებებს.

განხორციელდა მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რამაც გავლენა მოახდინა როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, ისე სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებაზეც. მე-14 ტრესტის № 2 სამრეწველო საწარმოთა კომბინატში მოქმედებს ორიარუსიანი ღუანი, რომელიც დიდ საკელელ ბლოკებს უშვებს. წლის დამლეგამდე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი ასეთი ღუანი, ხოლო გიისად — კიდევ ორი. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სახლსაშენებელი კომბინატები უშვებენ სანტარიულ-ტექნიკურ კაბინებს, რაც ზრდის მენობების აწყობას და, მაშასადამე, კეთილსაყოფიერ გავლენას ახდენს ხარისხზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

ეს და ბევრი სხვა სიახლე მშენებელთა ზეწოლია ოლიალთა სტრ შეჯიბრებაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ავშრომელდა მცირე რეაქტორი

ალმა-ათა, 10 ივლისი. (საკლესის კორ.). ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტში წარმატებით აამოქმედეს მცირე რეაქტორი. ახალი დანადგარი გათვალისწინებულია ექსპერიმენტების მოსაწყობად გამოყენებითი ფიზიკის დარგში.

ორბიტაზეა „კოსმოს-500“

1972 წლის 10 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-500“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 95,2 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეი) —554 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეი) — 509 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 74 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა, ხელსაწყოთა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის ამსახველი მონაცემების დედამიწაზე გადმოსაცემი რადიოტელემეტრიული სისტემა.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

გზას გილოცავთ, ოფიცრებო!

დარბაზობა კრემლში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა პატივსაცემად

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები იღებენ მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, უმაღლესი სამხედრო კვალიფიკაციის ინჟინერთა ახალ რაზმს. ეკითლი ტრადიციისა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩაისახა, ეს მოვლენა აღინიშნება როგორც დიდი და ამაღელვებელი დღესასწაული, რომელიც დაამახსოვრებათ მის მონაწილეებს. 11 ივლისს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულნი მიიწვიეს კრემლის დიდ სასახლეში. გიორგის დარბაზში და წახნაგოვან პალატაში კურსდამთავრებულებთან ერთად მოვიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

ჩვენ ყველას; თქვა მინისტრმა, გვაესოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი სიტყვა სტუდენტთა სრულიად საკავშირო ჭაბურებაში. ამ სიტყვაში მოცემულია ღრმა ამომწურავი დასასიათება საბჭოთა სპეციალისტისა. საბჭოთა კავშირის მარშალმა კურსდამთავრებულებს უწინარეს ყოვლისა უსურვა გასდნენ სწორედ ისეთი სპეციალისტები და გამოიმუშაონ ისეთი თვისებები, როგორზეც სტუდენტთა შეკრებაზე ლაპარაკობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ეს, ხაზი გაუსვა ა. ა. გრეჩკომ, წარმატების საიმედო საწინდარია თქვენს მომავალ შუამობაში.

ტაშის გრიალში მინისტრმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულებისადმი.

შემდეგ სიტყვა მიეცათ ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის კურსდამთავრებულს პოდპოლკოვნიკ ნ. ი. ბორდინს, კ. ე. ვოროშილოვის სახელობის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულს გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის პოლკოვნიკს ოტო ვირნერს. თავიანთი ამბანაგების სახელით მათ პირობა დადეს, რომ მუდამ და ყველაფერში ერთგული იქნებიან კომუნიზმის დიადი საქმისა, რომ მთელ ძალღონეს მოახმარენ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არმიათა საბრძოლო ძლიერების განმტკიცების საქმეს.

კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემიის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ო. ა. ლოსიკმა. (საკლესი).

ეროვნული ნოგბათი

ქობულეთი

ქობულეთის რაიონმა ვადაზე ადრე გადამეტებით შეასრულა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, თივის დამზადების ნახევარი წლის გეგმები და აბრეშუმის პარკის წლიური გეგმა.

ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 4.850 ცენტნერისა სახელმწიფოს მიეყიდა 9.827 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 21.160 ცენტნერისა — 24.230 ცენტნერი რძე, ნაცვლად 1.800 ათასისა — 2.425 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად 1.164 ცენტნერისა — 1.263 ცენტნერი მატყლი.

აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 430 ცენტნერისა დამზადებულია 477 ცენტნერი. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

სახელმწიფოს ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.100 ცენტნერისა მიეყიდა 3.124 ცენტნერი თივა. პროდუქტებისა და თივის დამზადება გრძელდება.

ბაკურიანი

ბაკურიანის ტურისტულ-ექსკურსიულ ბიურომ ამ ზაფხულ-ზამთარ ბაკურიანში ორ ცვლაში 1.000 ადამიანზე გაუწია ტურისტული მომსახურება. ბიურო ორგანიზებას უკეთებს ტურისტულ ექსკურსიებს ბაკურიანიდან ბორჯომ-ახალციხეზე, ბაკურიანიდან ბაკურიანამდე, ბაკურიანიდან ბაკურიანამდე ბორჯომ-ფარავნის ტბის, ბაკურიანიდან ბაკურიანამდე ბორჯომ-ბაკურიანის ბაგირგზ

იდეოლოგიური მუშაობა — სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილი საქალაქო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციიდან

ᲡᲙᲙᲞ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით ჩაიარა 4-5 ივლისს თბილისის საქალაქო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო აქტივისათვის. იგი მიეძღვნა თემას: „პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით".

მოხსენება — „პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით" — გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ლოლაშვილმა. მოისმინეს აგრეთვე თანამოაზრენი, რომლებიც გააკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. ვ. კოსტეცკიმ, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. რიგვავამ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. ბუხრაშვილმა. კონფერენციის შონაწილენი აქტიურად მონაწილეობდნენ მოხსენებისა და თანამოხსენებების განხილვაში. მათი გამოსვლები მიეძღვნა იდეოლოგიური მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა საკითხს.

შემოშავებულ რეკომენდაციებში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა მთელი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის.

კონფერენციამ ჩაიარა მაღალ იდეურ დონეზე, აქტიურად და საქმიანად მან გვიჩვენა, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი თბილისის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის საბრძოლო პროგრამა გახდა. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას ისინი ფართოდ იყენებენ მთელი იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ განსამჯობესებლად, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მზრუნველთა დასარაზმავად, მეცხრე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად. ქალაქის პარტიული ორგანიზაციები აქტიურად იბრძვიან იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც აღნიშნული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

ქვემოთ ქვეყნდება მასალები ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც კონფერენციაზე განიხილეს.

სრულყოფა პარტიული პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდებისა

სკკპ XXIV ყრილობამ ჩამოაყალიბა იდეოლოგიური მუშაობის პროგრამა, რომელიც კიდევ უფრო განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის „ალიონის" ტელევიზიის ეკრანზე. ამ პროგრამას რომ ახორციელებენ, ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას უთმობენ მუშაობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ყველა მისი შემადგენელი ნაწილის ღრმად შესწავლისა და პროპაგანდისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, მშრომელთა დარაზმვა პარტიის ლენინური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, მთავარია იდეოლოგიურ მუშაობაში. ეს დაჭრილებთ ითქვა ო. ლოლაშვილის მოხსენებაში, ს. რიგვავას თანამოხსენებაში, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივნის ს. მეჩაძის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ვ. მელქაძის, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივნის ფ. მახარაძისა და სხვათა გამოსვლებში.**

ყრილობის შემდგომ პერიოდში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს კომუნისტთა და უპარტიო აქტივისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში. პარტიული განათლების სისტემის ყველა რგოლში ღრმად და თანმიმდევრულად სწავლობდნენ კომუნისტური მშენებლობის პრობლემებს, სკკპ XXIV ყრილობის მასალებს, ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, საქართველოს კომპარტიის ამასწინანდელი პლენუმის, რომელმაც განიხილა საკითხი „ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა კომუნისტური მორალის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის".

**მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრი, ხაზგასმით აღინიშნა გამართულ პლენუმებსა და კრებებზე, ის არის, რომ ჩვენებურთ მშრომელთა უფართოეს მასებს კომუნისტური მსოფლმხედველობა, აღვზარდოთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით, ეროვნული ღირსებისა და ინტერნაციონალიზმის, ინტერნაციონალური ვალდებულების, ინტერნაციონალური ერთიანობის, ინტერნაციონალური ინტერესების, ინტერნაციონალური ინსტინქტის, ინტერნაციონალური ინიციატივის, ინტერნაციონალური ენერგიის, ინტერნაციონალური ბრძოლისუნარიანობის, ინტერნაციონალური ეროვნული ამაყობის, ინტერნაციონალური ეროვნული ამაყობის, ინტერნაციონალური ეროვნული ამაყ

მსოფლიო დღის

12 ივლისი, ოთხშაბათი

მოლაპარაკება და შეხვედრები ბრიუსელში

ბრიუსელი. 11 ივლისი. (საკადესი). აქ დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრ პ. არმელს შორის. ა. ა. გრომიკო ეწვია ბელგიის პრემიერ-მინისტრ გ. ეისკენსს.

მოლაპარაკებისა და საუბრების მსვლელობაში განიხილეს საერთაშორისო ვითარების საკითხთა ფართო წრე. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მდგომარეობას ევროპის კონტინენტზე.

აღინიშნა, რომ ამ პოლო დროს ევროპაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი დადებითი ძვრები ახალ შესაძლებლობებს ქმნიან ევროპის უშიშროების შემდგომი განმტკიცებისა და ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის თანაშრომლობის განვითარებისათვის. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საკითხებზე, რომლებიც სრულიად ევროპის თათბირის მომზადებასა და მოწვევას ეხება.

ბელგიის მეფემ ბოდუენმა საუზმე გამართა ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად. საუზმეზე, რომელმაც მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ პრემიერ-მინისტრი გ. ეისკენსი, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. არმელი და საგარეო ეკონომიკურ საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ა. ფაია.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვედა ბელგიის სენატის თავმჯდომარეს პ. სტრეისა და წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს ა. ვანკეკრს.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. არმელმა მთავრობის სახელით სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად.

პ. არმელმა და ა. ა. გრომიკომ სიტყვები წარმოთქვეს.

ტოკიო

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობების გამო

11 ივლისი. (საკადესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იუწყება გაზეთი „იომიური", წამოაყენა წინადადება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი მასაუსი ოჰირა საბჭოთა კავშირში გაგზავნონ პრემიერის სპეციალურ დავალებით.

ცნობაში აღნიშნულია, რომ მოგზაურობა, როგორც ვარაუდობენ, მოეწყობა მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევამდე. პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ მოგზაურობის შესახებ, წერს „იომიური", უნდა მიიღოს პრემიერ-მინისტრმა.

ანკარა

ს. ალიენდეს გამოსვლა

11 ივლისი (საკადესი). სახალხო ერთობის მთავრობა ჩილეს მშრომელთა მთავრობაა და განუხრელად დაიცავს მშრომელი მასების ინტერესებს, ხაზგასმით აღნიშნა რადიოთი თავის გამოსვლაში ჩილეს პრეზიდენტმა სალვადორ ალიენდემ.

უახლოეს ხანში, აღნიშნა პრეზიდენტმა, მთავრობა განიხილავს სტუდენტთა სტაჟიენდიებისა და მუშათა ხელფასის მომატების კანონპროექტს, აგრეთვე ერთიანი საპენსიო ფონდის კანონპროექტს, რომელიც მოწოდებულია შოაწყვრიგოს პენსიონ უზრუნველყოფა. მთავრობის ეს ღონისძიებანი მიზნად ისახავენ ჩილელი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, განაცხადა სალვადორ ალიენდემ.

ვაშინგტონი

პოლონეთ-ინდოეთის ერთობლივი კომუნიკე

11 ივლისი. (საკადესი). პოლონეთმა და ინდოეთმა გამოთქვეს მზადყოფნა ყოველმხრივ განავითარონ ორმხრივი ურთიერთობა ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში.

აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სვარან სინჯეის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ საჭიროა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთს შორის გაღრმავდეს ეკონომიური თანამშრომლობა.

უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების ერთობლივად განხილვამ, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, დაადასტურა, რომ ორივე მხარეს დღევანდელი დღის მთავარ ამოცანად მიაჩნია საქმიანობა ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კომუნიკეში გამოთქმულია აღშფოთება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვისა და მისი ნავსადგურების ბლოკადის გამო.

კომუნიკეში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ევროპის უშიშროების პრობლემებს.

ჟენევა

პაგვრიოგთა საბრძოლო წარმატებები

ნიუ-იორკი, 11 ივლისი. (საკადესი). ჩაიფუშა საიგონის ჯარების ცდა ხელთ ეგდოთ პატრიოტთა მიერ განთავისუფლებული კუანგჩის პროვინციის მთავარი ქალაქი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებმა მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ კონტრიერიში მიიტანეს ქალაქის მთელ რიგ უბნებში შეჭრილი მოწინააღმდეგის ნაწილებზე და ალაკეცია ისინი. საიგონის რეჟიმის მეთაური თხიეუ აშკარად აჩქარდა, როცა 7 ივლისს გამოაცხადა, ჩემმა ჯარებმა კუანგჩი აიღესო.

შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობს № 1 გზატკეცილზე კუანგჩისა და ჰიუეს შორის, სადაც განთავისუფლების ძალები ურტყამენ მოწინააღმდეგის ზურგში. მარიონეტული არმიის რჩეული სადესანტო ნაწილები, რომლებმაც კუანგჩიდან დაიხიეს, აღყამშორტყმული აღმოჩნდნენ ქალაქის სამხრეთით და დიდი ზარალი მოსდით ბრინჯის ყანებსა და დიუნებში გამართულ ბრძოლებში.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საგაზეთოები იუწყებიან, ქალაქ კუანგჩის დამცველები საიგონის დესანტის წინააღმდეგ იყენებენ ამერიკული წარმოების ტანკებს, რომლებიც მათ ხელთ იგდეს.

ამერიკის ავიაცია ავიაციას ბომბავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯიბირეზსა და სპორიეაციო ნაგებობებს. აქ ცნობილი გახდა თხანპოის პროვინციაში დიდ ჰიდროტექნიკურ ობიექტზე საპაერო თავდასხმის დაწვრილებითი ამბები.

ექვს ივლისს დილით „ფანტომთა" ჯგუფმა შეუტია ბაითხიონგის ჯიბირს მდინარე ტიუზე. რკა ფუძასურმა ბომბმა ჯიბირზე დატოვა 6-7 მეტრი სიღრმისა და 15 მეტრი დიამეტრის ძაბრები. რამდენიმე საათის შემდეგ ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ძირითადი არხი, რომელიც მდინარე ბრინჯის ყანებთან აკავშირებს. არხი სერიოზულად დაზიანდა რამდენიმე ადგილას.

ეს იყო ამერიკის ავიაციის 27-ე თავდასხმა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში თხანპოის პროვინციის ტერიტორიაზე.

გაიხსნა დემოკრატიული პარტიის ყრილობა

მაიამი-ბიჩი (ფლორიდა) 11 ივლისი. საკადესის სპეც. კორ. ვ. ჩუქსეევი იუწყება:

სენატორმა ჯ. მაკგოვერნმა (სამხრეთი დაკოტა) დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მომავალ ნოემბერს არჩევნებში დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელების გზაზე.

აქ გახსნილი პარტიის ყრილობის დელეგატებმა უარყვეს სამანდატო კომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც დაარღვია კალიფორნიის შტატის კანონები და ამ შტატის დელეგაციის 151 ხმა წაართვა მაკგოვერნს.

როგორც ცნობილია, სენატორმა კალიფორნიაში გამართულ პირველად არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგეების ზეგავლენით სამანდატო კომისიამ გადაწყვიტა ეს 151 ხმა გაეხსნა ელენეს დანარჩენი პრეტენდენტებისათვის, რომლებიც კალიფორნიის არჩევნებში მონაწილეობდნენ. ყრილობის გადაწყვეტილებამ გაადიდა სამხრეთდაკოტელი სენატორის შანსი, რომ თეთრი სახლისათვის ბრძოლაში იგი იქნება დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

ამ საკითხის განხილვის დროს, რომელიც ალსავსე იყო ცხარე კამათით და დილამდე გასტანა, სენატორ მაკგოვერნის მომხრეებმა მტკიცე პასუხი გასცეს კოალიციას, რომელსაც მეთაურობს სენატორი ერთ-ერთი მეტოქე, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰემფრი. ყრილობამ ხმების უმრავლესობით უარყო სამანდატო კომისიის გადაწყვეტილება კალიფორნიაში პირველად არჩევნების შედეგების გამო.

თავის განცხადებაში მაკგოვერნმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ყრილობამ ცნო ამ შტატში პირველადი არჩევნების შედეგების კანონიერება.

ამასთანავე ყრილობაზე კენჭისყრის შედეგებმა, გარკვეული თვალსაზრისით, ასახეს დემოკრატიულ პარტიაში ახლანდელი განხეთქილების ვითარება. აქ ძლიერდებიან ძალები, რომლებიც მოითხოვენ უარი თქვან ძველ ტრადიციებზე, რომლებიც დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების ორივე ბურჟუაზიული პარტიისათვის.

ლიბანი. ისრაელის რამდენიშე ათეულმა ოვითმფრინავმა ბარბაროსულად დაბომბა ლიბანის ქალაქი ხასბაია. თავდასხმის შედეგია სახლების ნანგრევები, დაფლეთილი ავტომანქანები, დაჭრილი და დასახიჩრებული ადამიანები.

სურათზე: ქალაქში თავდასხმის შემდეგ.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ბონი

„რუდე პრავოს" სარედაქციო კომენტარი

„რუდე პრავო" ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ

11 ივლისი. (საკადესი). გაზეთმა „რუდე პრავომ" გამოაქვეყნა სარედაქციო კომენტარი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ მოლაპარაკების მორიგი ტურის გამო, რომელიც გაიმართა პრაღაში ივნისის უკანასკნელ დღეებში.

დასავლეთ გერმანიის პრესის ერთი ნაწილი, ნათქვამია კომენტარში, მოლაპარაკების მიმდინარეობას მეტად მუქი ტონებით გვიხატავს, წერს მოლაპარაკების თითქმის კრახის შესახებ და ცდილობს ამისათვის ბრალი დააკისროს ჩეხოსლოვაკიის მხარეს.

საქმე ეხება იმის განზრახ დამახინჯებას, რაც პრაღაში მოხდა, წერს „რუდე პრავო". მართლაც, მოლაპარაკების მეხუთე ტურნიც არ მოსრულხდა გადალახვა თვალსაზრისთა განსხვავებისა ძირითად საკითხში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ფრანკემ განაცხადა, რომ მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებამ შეასრულა თავისი როლი. ახლა, მთავრობების ჯერია, რომლებმაც მოლაპარაკების შედეგების საფუძველზე უნდა კამოიტანონ შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი.

დღემდე რომ არ არის მიღწეული სასურველი შედეგი მოლაპარაკებაში, ბრალი ჩეხოსლოვაკიის მხარეს ეროდ მიუძღვის. მაშინ, როცა ჩეხოსლოვაკიის მხარემ კეთილი ნების მაქსიმუმი გამოიჩინა, რათა მიუნხენის შეთანხმების შედეგები აღმოეფხვრათ ისეთი წესით, რომელიც ორივე მხარეს დაკმაყოფილებდა, დასავლეთ გერმანიის მხარე კვლავ აყენებდა თეზისს იმის შესახებ, რომ თითქოს რაღაც დროის განმავლობაში მიუხედავ შეთანხმება ნამდვილად სამართლებრივი აქტი ყოფილიყოს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია იმოწმებს იმას, რომ მიუნხენის შეთანხმების თავიდანვე ბათილად ცნობა აუცილებელია ეს 151 ხმა ეგეთ-ეგეთ ნაწილებად დანარჩენი პრეტენდენტებისათვის, რომლებიც კალიფორნიის არჩევნებში მონაწილეობდნენ. ყრილობის გადაწყვეტილებამ გაადიდა სამხრეთდაკოტელი სენატორის შანსი, რომ თეთრი სახლისათვის ბრძოლაში იგი იქნება დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

ამ საკითხის განხილვის დროს, რომელიც ალსავსე იყო ცხარე კამათით და დილამდე გასტანა, სენატორ მაკგოვერნის მომხრეებმა მტკიცე პასუხი გასცეს კოალიციას, რომელსაც მეთაურობს სენატორი ერთ-ერთი მეტოქე, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჰ. ჰემფრი. ყრილობამ ხმების უმრავლესობით უარყო სამანდატო კომისიის გადაწყვეტილება კალიფორნიაში პირველად არჩევნების შედეგების გამო.

თავის განცხადებაში მაკგოვერნმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ყრილობამ ცნო ამ შტატში პირველადი არჩევნების შედეგების კანონიერება.

ამასთანავე ყრილობაზე კენჭისყრის შედეგებმა, გარკვეული თვალსაზრისით, ასახეს დემოკრატიულ პარტიაში ახლანდელი განხეთქილების ვითარება. აქ ძლიერდებიან ძალები, რომლებიც მოითხოვენ უარი თქვან ძველ ტრადიციებზე, რომლებიც დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების ორივე ბურჟუაზიული პარტიისათვის.

ბელლეგარეება ყარაჩიში

ისლამაბადი. 11 ივლისი. (საკადესი). პაკისტანის უდიდეს ქალაქ ყარაჩში გრძელდება მელეფარება, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც პროვინცია სინდის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სინდის ენა ოფიციალურ ენად გამოაცხადოს.

ქალაქის ზოგიერთ რაიონში შემოღებულია კომენდანტის სასაათო. ყარაჩის ქუჩებში პატრულობენ ჯარები. როგორც გაზეთი „პაკისტან ტაიმსი" იუწყება, გუშინდელი დღის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა რაიონში მომხდარი შეტაკებების დროს დაიხოცა ოთხი კაცი.

ეროვნული ასამბლეის დეპუტატებისადმი მიმართვაში პაკისტანის პრეზიდენტმა ბჰუტომ გამოაცხადა, რომ მთავრობა დიდად არის შეწუხებული ყარაჩში მოვლენების განვითარების გამო და ყოველივე ღონეს იხმარს, რათა მოაწესრიგოს ვითარება.

ყარაჩს. 11 ივლისი. (საკადესი). პაკისტანის სინდის პროვინციის მთავარ ქალაქ ყარაჩში, ჰაიდერაბადსა და ორ სხვა ქალაქში შემოღებულია 24 საათის კომენდანტის საათი. ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ აქ გრძელდება არეულობა ხელისუფალთა იმ განზრახვასთან დაკავშირებით, რომ სინდი გამოაცხადონ პროვინციის ოფიციალურ ენად.

უწოდე ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა ახალი წესის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მართავს დემონსტრაციებს და კრავს გზებს. შეტაკებათა შედეგად არის მსხვერპლი.

ხანძარი ავიამფიფლეზე

ნიუ-იორკი. 11 ივლისი. (საკადესი). დიდი ხანძარი გაჩნდა ავიამზიდ „ფორესტოლზე", რომელიც ვიეტნამის შტატის ნორფოლკის ნავსადგურში დგას.

ავარია მოედო ამ ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული ავიამზიდის ქვედა გემბანს, ხომალდისა, რომელიც მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიამი ინდოჩინეთის წინააღმდეგ.

განკაფის სიგნალზე მოსული ხუთი სამხედრო სანანძრო ხაზი ებრძვის ალს, რომელიც ზედა გემბანს ემუქრება. ამ გემბანს თვითმფრინავების ასაფრენ ზოლად იყენებენ. დაშავებულთა შესახებ ჯერჯერობით ცნობები არ არის.

ეს მეორე დიდი ხანძარია „ფორესტოლზე".

ოკეანსპირული ფენომენები

ნიუ-იორკი. 11 ივლისი. (საკადესი). ლუხონის კუნძულთან დაკავშირებულ ცენტრალურ პროვინციებში დაწყებულმა წყალდიდობამ დღეს მანილას მიაღწია, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო.

წყალმა დატბორა ფილიპინების დედაქალაქის ზოგიერთი რაიონი. ცნობაში ნათქვამია, რომ ოკეანისპირული ნყლიმის შედეგად, რომელიც მთელი კვირაა გრძელდება, ფილიპინებში დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი.

ბონი

ტელ-ავივი: ანექსიის პოლიტიკა

11 ივლისი. (საკადესი). ისრაელის მთავრობა ახორციელებს 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიების ანექსიის აშკარა კურსს. ივნისის აგრესიის შემდეგ გასული ხუთი წლის მანძილზე, წერს ეურნალი „მონდ დიპლომატიკი", ტელ-ავივმა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე შექმნა დაახლოებით 40 ისრაელური დასახლება, რომლებშიც ახლა რამდენიმე ათასი კაცი ცხოვრობს.

ასეთ დასახლებათა შექმნის მიზანია ფეხი მოიკიდონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დაეკანონ მათი მიტაცება. ეს ანექსიონისტური კურსი ისრაელში წინასწარ შეიმუშავეს, რადგან ივნისის ომის დამთავრებიდან უკვე ხუთი კვირის შემდეგ, აღნიშნულია სტატიაში, სირიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე — გოლანის ბაღლობებზე — დასახლდნენ პირველი ისრაელი კოლონისტები.

ისრაელის ლიდერები ცდილობენ გაძლიერთლონ თავიანთი დამპყრობლური მისწრაფებანი და აცხადებენენ, რომ ოკუპირებული არაბული მიწების „ათვისების" პოლიტიკა თითქოს გამოწვეული იყოს „უშიშროების მოსაზრებით".

მაგრამ ისრაელი ხელმძღვანელები ხშირად ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, წერს ეურნალი. ეურნალს ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოშე დაიანის სიტყვები, რომ სახელმწიფოს უშიშროების თვალსაზრისით დასახლებათა შექმნას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ „მეტად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რადგან არ დავტოვებთ არც ერთ ადგილს, სადაც შექმნილია დასახლებული პუნქტი თუ გასამხედროებული დასახლება".

აზორციელებს რა ასეთ პოლიტიკას, ისრაელის მმართველი წრეები იყენებენ ძალმომრეობასა და პირდაპირ ტერორს მკვიდრი არაბი მოსახლეობისადმი, რომელსაც ძალით ერეკებიან მშობლიური ადგილებიდან, რათა გათავისუფლონ ისრაელთა მიერ წინასწარ შერჩეული ტერიტორია.

ტელ-ავივში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ოკუპირებულ ტერიტორიების კოლონიზაციას. მასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება მთავრობისა და მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობლობაშია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალ დასახლებათა შექმნისათვის უკვე გამოყოფილი სახსრები რადენიმე ასეულ მილიონს ისრაელურ გირვანქას აღწევს. წლეულს, წერს ეურნალი, ასიგნება 120 მილიონ გირვანქას შეადგენს.

დაპყრობილ არაბულ მიწებზე კოლონიზაციის პოლიტიკა აშკარად მოწმობს, რომ ისრაელი ოკუპანტები არ აპირებენ დატოვონ ეს მიწები და შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთი შესაძლო საფუძველია.

ლონდონი

ოლსტერში სისხლი იღვრება

11 ივლისი. (საკადესი.). შედარებითი „სიმშვიდე" ოლსტერში დიდხანს არ გაგრძელებულა. ბელფასტის, ლონდონერისა და სხვა ქალაქების ქუჩებში კვლავ აფეთქებებისა და სროლის ხმა გაისმის. წინასწარი მონაცემების თანახმად, ინგლისელთა ტყვიამ იმსხვერპლა 6 ირლანდიელი, მათ შორის 18 წლის გოგონა. დაჭრილია ათობით ადამიანი.

შეტაკება მოხდა საღამოს ბელფასტში, როცა კათოლიკეთა ოჯახები თავიანთი ღარიბული ბარგით, პროტესტანტ ექსტრემისტებს რომ გაურბოდნენ, მუნიციპალურ ხელისუფალთა მიერ მათთვის ოფიციალურად გამოყოფილი სახლებისაკენ მიდიოდნენ.

მათ გზა გადაუღობეს ინგლისელთა ჯარებმა და ნახევრადსამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა და მუზარადიანმა პროტესტანტებმა. ჯარისკაცებმა რეზინის ტყვიებით და „სი-ეს" გაზით გატენილი ხელყუმბარები დაუშინეს კათოლიკეებს.

გაისმა საბასუხო სროლის ხმა. გაატეხეს სროლა რამდენიმე საათს გაგრძელდა და ბელფასტის სხვა რაიონებსაც მოედო.

ოლსტერში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით იქ გზავნიან კიდევ 600-მდე ინგლისელ ჯარისკაცს. ამრიგად, ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების საერთო რიცხვი 16 ათას კაცს შეადგენს.

ამბები

● **ჩიტაგონგში — ბანგლადეშია** უდიდეს ნავსადგურში გაიმართა მესამე საბჭოთა თევზსაჭერი გემის ახალგაზრდა რესპუბლიკის ხალხისათვის ძღვნად გადაცემის ცერემონია. ხულ შეთანხმებით, რომელიც მოსკოვში ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრის მუჯიბურ რაჰმანის ოჯახის დროს დაიდო, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა მიიღებს 10 საბჭოთა თევზსაჭერ გემს.

● **ირანის კასპიის ზღვის** ფეკლევის ნავსადგურში საბასუხო ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი სადარაჯო ხომალდისა და ტრალერის შემადგენლობით.

● **იტალიაში დიდი წარმატებით** მიმდინარეობს კამპანია კომუნისტურ პრესაზე ხელმოწერისათვის, რომელიც იტალიის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო. ექვსი კვირის განმავლობაში „ბუნიტას" ფონდში შეტანილია 701 მილიონ ლირაზე მეტი.

● **ლოს-ანჯელესში დაიწყო** პროცესი მეცნიერების დ. ელსბერგისა და ე. რუსოს „საქმის" გამო. სასამართლო შეუდგა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურას.

● **იაპონელ ასტრონომიის** მოყვარულთ გული დასწყვიტა ღრუბლიანმა ამინდმა ჰოკაიდოს კუნძულზე. ისინი იაპონიის ყველაზე ჩრდილოეთ კუნძულზე შეეკრიბნენ, რათა დაკვირვებოდნენ მზის ნაწილობრივ დაბნელებას. ასტრონომთა ერთი ჯგუფი რვინის მთის მწვერვალზეც ავიდა, რომელიც ზღვის დონიდან 1666 მეტრზეა აღმართული. 60 პროცენტით დაბნელებული მზის სფერო ცისკიდურზე უნდა გამოჩენილიყო 3 საათსა და 40 წუთზე. მაგრამ ამ დროით მთელ კუნძულზე ცა ღრუბლის სქელმა ფენამ დაფარა.

● **სუდანის** დაგეგმვის სამინისტრომ მოიწონა ქვეყნის სამხრეთის განვითარების 1972/73 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი 6,5 მილიონი სუდანური გირვანქის ოდენობით. დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრმა ლ. ვულმა ამასთან დაკავშირებთან განაცხადა, რომ სამხრეთ სუდანის განვითარების ბიუჯეტს რეალური საფუძველი აქვს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო განვითარებას ქვეყნის ამ ნაწილში უახლოეს მომავალში.

● **კანადაში** პარიზში ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივი თათბირის მუშაობაში მონაწილეობისათვის 11 ივლისს გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის სპეციალური მრჩეველი ლე დაკ თხო.

● **შანბის სტაბილიზაცია,** სახალხო განთლების სისტემის გაუმჯობესება, გარემოს გაჯანსაღების შეწყვეტა — ასეთია მთავარი საშინაო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც მიელის ახალი მთავრობისაგან იაპონიის მოსახლეობა. ამის მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის მონაცემები, რომლებსაც „ასაზეთი „სანკეი სიმბუნი" აქვეყნებს.

ᲞᲝᲞᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ

ᲞᲝᲞᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ

სპასპი — ფიშერის მატჩის ფონზე

პოპ ფრეზერი ჭირვეულობს

ბობი ფიშერს არ მოსწონს განათება. საკადრაკო დაფა და მაგიდა, რომელზეც უნდა ითამაშოს, წერს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტეფენს ბრეინნგი რეიკიავიკიდან. მას სურს ქაჯდეს პოლიციელთან დაცვა და აქციოდეს ახალი ფორთობლის წვეენი. მან მოითხოვა ეკრანული სპორტული ავტომობილი ავტომატური ტრანსმისიით.

და მან მიიღო დიდი ნაწილი იმისა, რაც მოისურვა. 11 ივლისს სადამოს 5 საათზე ფიშერი გამოვა თავისი „ციხე-სინაგრიდან", რათა ეთამაშოს მსოფლიოს ჩემპიონ ბორის სპასკის.

29 წლის ფიშერს შანსი მიეცა გამდიდრდეს, მიაღწიოს იმას, რომ ამერიკელმა მაყურებელმა ცნოს თაში, რომელიც მის გონებას დაუფლებია.

მატჩისათვის იმდენი ფული გამოიყო, რამდენიც არ ახსოვს ჭადრაკის ხანგრძლივ ისტორიას, განაგრძობს ბრეინნგი. ამ ცხრა წლის წინათ ასეთსავე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის პრიზად დაწესებული იყო 2.500 დოლარი. ამჯერად საერთო საპრიზო ფონდი ზუსტად ასჯერ მეტია.

ფიშერის ადვოკატმა პოლ მარშალმა თქვა, რომ მისი კლიენტი, საბაღოოა, მილიონერი გახდეს, თუ მოიგებს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას. მაშინ იგი უკარნახებს თავის ფასებს გამოსვლებისათვის და მიიღებს შემოსავალს წიგნების გაყიდვისა და კომერციული საქმიანობის შედეგად.

ან რა გადმოსცა პირველი პარტიამდე რამდენიმე საათით აერე რეიტერის საგენტოს კორესპონდენტმა: ტემპერამენტიანმა ამერიკელმა მატჩის ორგანიზატორებს წაუყენა უამრავი პრეტენზია, რომლებიც დარბაზის მოწყობას ეხება. მუშებმა დაიწყეს გადაკეთება, რათა იგი ცმაყოფილი დარჩეს. მათ აიღეს პირველი ორი რიგის საგარძლები, ვინაიდან ფიშერმა განაცხადა, მაყურებლები სცენასთან ძალიან ახლოს იქნებიანო. შეცვალეს ჭადრაკის დაფა მას შემდეგ, რაც ფიშერმა თქვა, მსურს ვითამაშო შეკმეწანეუჯრედებიან დაფაზეო.

სპასკიმ კვირას დაათვალიერა დარბაზი და ყველაფრით კმაყოფილი დარჩა (საკადესი).

საუკუნის მატჩი დაიწყო

ᲒᲣᲨᲘᲜ ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჩემპიონს — ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡᲐ და ამერიკელ გროსმაისტერს ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲤᲘᲨᲔᲠᲡ შორის.

გამოფენათა სახასლე პარტიის დაწყებამდე გაივსო მაყურებლებით. ზუსტად 17 საათზე ადგილობრივი დროით მატჩის მთავარმა არბიტრმა ლოტარ შმიდმა საათი ჩართო და მსოფლიოს ჩემპიონმა პირველი სვლა გააკეთა ლაზიერის პაიკით. ფიშერი კი... ამ დროს დარბაზში არ იმყოფებოდა. იგი გამოჩნდა დაახლოებით შვიდი წუთის შემდეგ. მეტოქეთა ნაჩქარევი ხელის ჩამორთმევა და ფიშერმა საპასუხო სვლა გააკეთა. ჯერ ფიქრობდნენ, რომ პარტიაში გათამაშდებოდა ლაზიერის გამბიტი, მაგრამ შემდგომი სვლების შემდეგ გამოირკვა, რომ პრეტენდენტმა ნიმცოვიჩის დაცვის ინვიანთი ვარიანტი აირჩია. პირველ 14 სვლაზე მეტოქეებმა თითო საათი დახარჯეს. მე-11-მე-12 სვლებზე გაიცვალა ლაზიერები. 2 საათის შემდეგ გაკეთებული იქნა 27 სვლა და დაფაზე წარმოიშვა თანაბარი ენდშპილი მსუბუქი ფიგურებით.

წაგება დიდი ანგარიშით

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში ლუჟნიკის სტადიონზე „სპარტაკმა" მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „დინამო". მასპინძლებმა აღმავლობით ჩაატარეს მატჩი, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 5:0.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩარიძე (რეხვიაშვილი), მკედლიშვილი (გოგიჯანაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

სათადარიგო გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:0 (წერეთელი, რეხვიაშვილი).

გუშინ სტადიონებზე

ᲒᲣᲨᲘᲜ „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში:

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „დინამომ" მიიღო ერევნის „არარატი" მატჩის შედეგია — ფრე — 2:2. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები იგებდნენ 2:0.

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ „კარპატი" საკუთარ მოედანზე შეხვდა ალმა-ათის „ყაზახეთს". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲗᲘ ასპარეზობდნენ „ზენიტი" და მოსკოვის „ლოკომოტივი". შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა 3:1.

ᲓᲜᲔᲞᲠᲝᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ „დნეპრმა" უმასპინძლა ბაკოს „ნეფტჩის". ასპარეზობის შედეგია 5:0 „დნეპრის" სასარგებლოდ.

12 და 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მინსკის „დინამოსა" და დონის როსტოვის სკა-ს, მოსკოვის „ტორპედოსს" და ეროშილოვგრადის „ზარიას" მატჩებით ამოიწურება პირველი წრის ბოლო ტური. მაგრამ მთელი რიგ გუნდებს გასამართავი ექნებათ წინა ტურებში გამოტოვებული მატჩები. უკვე 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ გამოტოვებულ შეხვედრებს ვამართავენ მოსკოვის „დინამო" და „სპარტაკი", ცსკა და მინსკის „დინამო". მინსკელებს კიდევ ერთი გამოტოვებული მატჩი ექნებათ მეორე წრის დაწყების შემდეგ — 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ეროშილოვგრადი „ზარიასთან". ამავე დღეს პირველი წრის უკანასკნელ მატჩებს გამართავენ კიევის „დინამო" და მოსკოვის „ლოკომოტივი", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და თბილისის „დინამო". ბაკოს „ნეფტჩის" პირველი წრიდან უთამაშებელი რჩება ორი მატჩი — მოსკოვში „დინამოსთან" და შინ „სპარტაკთან".

**ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔ

ს. დემეტრაძე

გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1930 წლიდან დავით ტრიფონის-ძე დემეტრაძე.

დ. დემეტრაძე დაბადა 1905 წელს ქ. ქუთაისში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. 1920 წლიდან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სწავლასთან ერთად ეწეოდა შრომითს საქმიანობას. 1931 წელს დ. დემეტრაძემ დაამთავრა საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტი და დაინიშნა „აჭარჰესის“ მშენებლობაზე ინჟინრად. შემდეგ გადმოიყვანეს თბილისში საქართველოს კომუნალური ბანკის მთავარ ინჟინრად. მაღე იგი ამავე ბანკის მმართველია და პარალელურად საქართველოს სამშენებლო ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

1939 წლიდან 1943 წლამდე დ. დემეტრაძე მუშაობდა ქ. მოსკოვში საკავშირო ცენტრალური კომუნალური ბანკის მმართველის მოადგილედ. შემდეგ დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტად. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკური სახელმწიფო ბანკის, კომუნალური ბანკის მმართველად, შენებანკის მმართველის მოადგილედ.

დ. დემეტრაძე სხვადასხვა დროს იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

გულისხმიერი და სპეტაკი ადამიანის დ. დემეტრაძის ხსოვნა მარად დაუვიწყარი იქნება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენოთ ყველა ამ პირს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, რომელთაც გვიზიარეს ჩვენი მწუხარება სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტის, პროფესორ ალოლონ ყარამანის-ძე ჭუთათელაძის გარდაცვალების გამო.

ა. ჭუთათელაძის ოჯახი.

დაკვირვება მზის დაგნელებაზე

კამჩატკის პეტროპავლოვსკი. 11 ივლისი. (საკუთარი კორ. ნ. სელივანოვა). თანამედროვე ასტრონომიული და ოპტიკური ხელსაწყოების საშუალებით საბჭოთა მეცნიერები აკვირდებოდნენ მზის სრულ დაბნელებას კამჩატკის ნახევარკუნძულზე.

მისი ცენტრალური ფაზა აქ დადგა 21 საათზე 34 წუთსა და 27 წამზე მოსკოვის დროით და წუთნახევარს გასტანა. ბერინგის ზღვის ნაპირას მდებარე დაბა კორფი სრულ წყვდიადში შთაინთქა.

დაბნელების ვიზუალურ დაკვირვებას ხელი შეუშალა ღრუბლებმა. მაგრამ მეცნიერები უამინდობისათვის მზად იყვნენ—შეიარაღდნენ თანამედროვე ხელსაწყოებით. მთავარი ამოცანა იყო მზის რადიოგამოსხივების გზომვა 3,2 სანტიმეტრ ტალღაზე. აღინიშნა მზის ორი აქტიური წყარო გადადებული რადიოგამოსხივებით.

დაკვირვებას აწარმოებდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და ლვოვიდან ჩამოსული ასტრონომიული ექსპედიციები.

საბჭოთა ექიმები ლაქსმარნენ

ჩრდილოეთთეზის“ მთავარი სამართველოს მედსანნაწილში თევზსაჭერი გემიდან „ბოსტონ ლინკონიდან“ მიიღეს რადიოგრამა. ინგლისის სეინერის კაპიტანი მადლობას უხდის მცურავი ბაზის „ვიქტორ კინგისეპის“ ექიმებს.

ეს მცურავი ბაზა ბარენცის ზღვის იმავე სარეწ რაიონში იყო, რომელშიც ინგლისის გემი. რადიოთი მიიღეს ცნობა, რომ ინგლისის ეკიპაჟის ერთერთ წევრს ესაჭიროებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ავადმყოფი კოკი ს. ადლამი აიყვანეს საბჭოთა გემზე. უფროსმა ექიმმა შ. ისაევამ და ქირურგმა ვ. ბაჟაევმა მეზღვაურს საჭირო დახმარება გაუწიეს.

რუმინეთის სეინერის „დუნაის დელტის“ თხოვნით მცურავ ბაზა „ფელიქს კონზე“ მიიღეს ავადმყოფი მეზღვაური მარინ ბოგიჩი. გემის ქირურგმა ნ. ხრუშკოვმა მას გაუკეთა აპენდიციტის ოპერაცია. მურმანსკში მიიღეს ცნობა, რომ მარინ ბოგიჩი უკვე დაბრუნდა თავის გემზე. (სპეგსის კორ.).

მურმანსკი

სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო

აცხადებს მიღებას სამოქალაქო ავიაციის სასწავლებელში

I სამოქალაქო ავიაციის უმაღლესი სასწავლებლები

ლენინის ორდენოსანი სამოქალაქო ავიაციის აკადემია

ს